

სამხრეთი კავკასიის მეცხრე მედია კონფერენცია  
ტრადიციულიდან ონლაინ მედიისკენ: მოწინავე პრაქტიკა და პერსპექტივები

თბილისი, საქართველო  
2012 წლის 11–12 ოქტომბერი

დეკლარაცია

11 და 12 ოქტომბერს თბილისში გაიმართა სამხრეთი კავკასიის მეცხრე მედია კონფერენცია, რომელიც ორგანიზებული იყო მედიის საკითხებში ეუთოს წარმომადგენლის ოფისის მიერ, ეუთოს ბაქოსა და ერევნის ოფისებთან თანამშრომლობით.

რამდენიმე წელიწადია, სამხრეთი კავკასიის მედია კონფერენცია წარმოადგენს უნიკალურ ფორუმს, რომელზეც განიხილება მედიასთან და სამხრეთ კავკასიაში ჟურნალისტების ურთიერთთანამშრომლობასთან დაკავშირებული საკითხები.

ორდღიან კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის 80-ზე მეტმა ჟურნალისტმა, მედიის ექსპერტმა, პარლამენტარმა, სამოქალაქო საზოგადოებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენელმა.

წლევანდელი კონფერენციის მთავარი თემა იყო სოციალური და ონლაინმედიის პრობლემები. კონფერენციის მონაწილეებმა განიხილეს სოციალურ მედიაში სიტყვის თავისუფლებისა და ინტერნეტმაუწყებლობის საერთაშორისო სტანდარტები და ეროვნული პრაქტიკა. მონაწილეებმა ასევე იმსჯელეს სამხრეთ კავკასიაში მედიის განვითარების ტენდენციებზე. გარდა ამისა, კონფერენციაზე განიხილებოდა სოციალურ და ონლაინმედიასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები, პოლიტიკური მიდგომები და პრაქტიკა, ციფრული მედიის განვითარების ტენდენციები და ინტერნეტმედიის განვითარების პერსპექტივები.

*კონფერენცია:*

1. მიესალმება იმ ფაქტს, რომ აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის მედიის, სამოქალაქო საზოგადოებებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებმა შეძლეს კონფერენციაში მონაწილეობის მიღება და სოციალური და ონლაინმედიის სფეროში მნიშვნელოვანი საკითხების

რეგიონულ დონეზე განხილვა თანამშრომლობისა და ურთიერთნდობის სულისკვეთებით.

2. აღიარებს, რომ ტრადიციული და ონლაინმედია საშუალებას იძლევა, გაუმჯობესდეს ეუთოს წევრი სახელმწიფოების მიერ მედიის თავისუფლების სფეროში აღებული ვალდებულებების შესრულება.
3. მიესალმება იმ ფაქტს, რომ ონლაინმედია ხელს უწყობს მრავალფეროვნებისა და პლურალიზმის ზრდას. აღიარებს, რომ უზრუნველყოფილი უნდა იყოს სწრაფი ინტერნეტკავშირი ხელმისაწვდომ ფასად.
4. ხაზგასმით აღნიშნავს იმ შესაძლებლობებს, რასაც ინტერნეტი იძლევა, მათ შორის განათლებაში, ეკონომიკასა და პიროვნებათა შორის ურთიერთობებში; ასევე აღიარებს ინტერნეტის, როგორც ინფორმაციის მოძიების, წარმოების, მიღებისა და გავრცელების იარაღის, მნიშვნელობას.
5. მოუწოდებს მთავრობებს, უზრუნველყონ ადამიანის ძირითადი უფლებების - გამოხატვის თავისუფლებისა და ინფორმაციის თავისუფლების - დაცვა არა შემზღუდავი, არამედ ხელშემწყობი სამართლებრივი და პოლიტიკური პირობების შექმნის გზით, ამ უფლებების დაცვაზე დამოუკიდებელი სასამართლო ზედამხედველობისა და ეფექტური საზოგადოებრივი კონტროლის დაწესებით.
6. ხაზს უსვამს, რომ ინტერნეტში აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა მისაღებია მხოლოდ მაშინ, როცა ეს შეესაბამება საერთაშორისო სამართალსა და სტანდარტებს, აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, გათვალისწინებულია კანონით და გამოიყენება საზოგადოებრივი ინტერესების დასაცვად.
7. თვლის, რომ ეროვნული კანონმდებლობა ხელს უნდა უწყობდეს ინტერნეტის, მათ შორის ონლაინმედიის, გახსნილობასა და გამჭვირვალობას.
8. მოუწოდებს მთავრობებს, განიხილონ ინტერნეტქსელზე და მის სერვისებზე, მათ შორის სოციალურ მედიაზე და სოციალურ ქსელებზე, წვდომა და მათი გამოყენება ადამიანის ზოგიერთი ძირითადი უფლების, მათ შორის გამოხატვის თავისუფლების, განხორციელების წინაპირობად და უზრუნველყონ მათზე საყოველთაო ხელმისაწვდომობა.
9. მოუწოდებს მთავრობებს, გააძლიერონ მრავალმხრივი პარტნიორობა ყველა დაინტერესებულ მხარესთან მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის არსებული „ციფრული უთანასწორობის“ აღმოფხვრის მიზნით, ხელი

შეუწყონ ახალი მედიის მოხმარების სწავლებას და ინტერნეტზე საყოველთაო წვდომას.

10. მოუწოდებს სატელეკომუნიკაციო კომპანიებს, დაიცვან ქსელების ნეიტრალურობის პრინციპი ინფორმაციული სერვისებისა და ტრაფიკის თანაბრად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, მიუხედავად მოწყობილობის ტიპისა, კონტენტისა, ავტორისა, მათი წარმოშობისა და მიზნობრიობისა; აგრეთვე უზრუნველყონ სატელეკომუნიკაციო კომპანიების საკუთრების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობა.
11. აღიარებს ინტერნეტის მომხმარებლების აქტიურ როლს კონტენტის შექნაში, რითაც ისინი ახორციელებენ გამოხატვის თავისუფლებას.
12. მოუწოდებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, წაახალისონ ინტერნეტში სოციალური მედიის იარაღების გამოყენება, რათა უზრუნველყონ სამთავრობო და სხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის გამჭვირვალობა და მოქალაქეთათვის მასზე ხელმისაწვდომობა.
13. მოუწოდებს მთავრობებს, ითანამშრომლონ სამოქალაქო საზოგადოებასთან და სატელეკომუნიკაციო კომპანიებთან იმისათვის, რომ ინტერნეტი დარჩეს საჯარო დისკუსიებისთვის ღია ფორუმად, მომხმარებელთა უფლებები კი იყოს დაცული.
14. ხაზს უსვამს იმას, რომ საკუთარი უფლებების სრულფასოვნად განხრციელებისათვის ინტერნეტის მომხმარებლები დაცული უნდა იყვნენ უკანონო ჩარევებისაგან, განსაკუთრებით პერსონალური ინფორმაციის სფეროში.
15. მოუწოდებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, უზრუნველყონ ჟურნალისტების, ბლოგერებისა და „მოქალაქე ჟურნალისტების“ საქმიანობისთვის ხელშემწყობი პირობების შექმნა.
16. მოუწოდებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, შეწყვიტონ ბლოგერებისა და ონლაინმედიის აქტივისტების დევნა.

თბილისი, 11-12 ოქტომბერი, 2012 წ.

\* \* \*